



Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (II კვარტალი, 2021)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 14 | 03.05.2021


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი პიემსი კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განვიხილავთ ქართველი ეკონომისტების მიერ შეფასებულ საქართველოს ეკონომიკურ კლიმატს. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2021 წლის მაისში.

2021 წლის მეორე კვარტალში, საქართველოს ეკონომიკური კლიმატი გაუმჯობესდა, 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

2021 წლის მეორე კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა უარყოფითად შეაფასეს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესდა, 2021 წლის პირველ და 2020 წლის მეორე კვარტალებთან შედარებით.

მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსად, ქართველ ეკონომისტებს უარყოფითი მოლოდინები აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის მაჩვენებელი გაუმჯობესდა 2021 წლის პირველ კვარტალში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით, და საგრძნობლად ოპტიმისტურია ვიდრე 2020 წლის მეორე კვარტალში არსებული მოლოდინები.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2021 წელს 3.3%-ს შეადგენს. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:



ინფლაცია

- მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.



გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად არის ნაკლებად შეფასებული აშშ დოლარის და ევროს მიმართ, ხოლო ზედმეტად არის შეფასებული თურქული ლირის და რუსული რუბლის მიმართ.



ვაჭრობის მოცულობა

- მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ გაიზრდება უფრო ნაკლებად ვიდრე იმპორტის მოცულობა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.

დამატებითი შეკითხვები

2021 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში, ქართველმა ეკონომისტებმა შეაფასეს COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და ქვეყნის პერსპექტივები ეკონომიკის აღდგენის კუთხით.

გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 2021 წლისთვის, დამატებითი შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში. შედეგად, რესპონდენტთა 29.4%-მა განაცხადა, რომ ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია მშპ-ის ზრდა 0-1% -ის ფარგლებში, ხოლო გამოკითხული ეკონომისტების 23.5%-მა ივარაუდა, რომ ასეთ შემთხვევაში მშპ-ს რეალური ზრდა 1-2% იქნება.

გამოკითხულმა ეკონომისტებმა შეაფასეს საქართველოს ეროვნული ბანკის გადანაწილებები რეფინანსირების განაკვეთის ზრდის შესახებ, 1 - დან (სრულიად არ ვეთანხმები) 5 - მდე (სრულიად ვეთანხმები) შკალაზე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 58.8%-მა ამ შკალაზე მონიშნა "4" ან "5". უფრო მეტიც, არც ერთმა რესპონდენტმა არ განაცხადა, რომ ისინი სრულიად არ ეთანხმებიან გადანაწილებას.

გარდა ამისა, გამოკითხულ ეკონომისტთა 41.2%-მა აღნიშნა, რომ ისინი რეფინანსირების განაკვეთის მაჩვენებელს 2021 წლის ბოლოსთვის 9.01-9.50% შუალედში პროგნოზირებენ, ხოლო მათი 29.4%-ის აზრით, განაკვეთი 8.50-9.00%-ის ფარგლებში მოექცევა.

გამოკითხვის ფარგლებში, ეკონომისტებმა შეაფასეს ეკონომიკური სექტორები ვაქცინაციის მიმართულებით პრიორიტეტულობის მიხედვით. საერთო ჯამში, გამოკითხულთა 47% აცხადებს, რომ პერსონალის ვაქცინაციის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია განთავსებისა და საკვების მიწოდების სექტორისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მეოთხედი (23,5%)(სხვა სექტორებთან შედარებით, ყველაზე ცოტა) თვლის, რომ მშენებლობა პრიორიტეტული სექტორია ვაქცინაციის მიმართულებით.

გამოკითხულთა 47.1%-ის პროგნოზით, 2021 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2019 წლის დონის 21-40%-ს დაუბრუნდება, ხოლო გამოკითხულთა 23.5% 41-60%-ის აღდგენას ელის.

გარდა ამისა, გამოკითხულმა ეკონომისტებმა გამოყვეს 2021 წლის საქართველოს ტურიზმის მარკეტინგული აქტივობების სამიზნე ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა 87.5% თვლის, რომ ისრაელი უნდა იყოს მარკეტინგული აქტივობების მთავარი სამიზნე, ხოლო გამოკითხულთა 62.5%, ასევე, ასახელებს ევროკავშირის ქვეყნებს.

მეთოდოლოგია

ინდექსი ემყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინებს. მასშტაბი მერყეობს -100 ქულიდან +100 ქულამდე. -100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითს), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას

ინდიკატორები	2017	2018	2019	2020
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16248.5	17596.6	17470.7	15888.1*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4358.5	4722.0	4696.2	4274.6*
მშპ რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.1%	-6.2%*
ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1978.3	1306.3	1310.8	616.9*
უმუშევრობის დონე (%)	21.6%	19.2%	17.6%	18.5%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5177.4	5434	5741	7535
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.0%	22.3%	20.5%	-

* ნიხასწარი ძველებზე